<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი
საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“
ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 10.01.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190020.04.001.016032) 79-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 79[1] მუხლი:

„მუხლი 79[1]. საარჩევნო სუბიექტის პასუხისმგებლობა მის წინასაარჩევნო აგიტაციაში ლიდერის რანგში იმ პირის მონაწილეობისათვის, რომელიც არ აკმაყოფილებს აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზაციისთვის საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ცენზებს

1. თუ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო აგიტაციაში ამ საარჩევნო სუბიექტის პოლიტიკური ლიდერის რანგში მონაწილეობს პირი, რომელიც არ აკმაყოფილებს აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზაციისათვის საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ რომელიმე ცენზს, ცესკოს განკარგულებით საარჩევნო სუბიექტს გაუუქმდება საარჩევნო რეგისტრაცია.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საკითხზე ცესკოსთვის საჩივრით მიმართვის უფლება აქვს საარჩევნო სუბიექტს ან რეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას. დაუშვებელია ცესკოსთვის შესაბამისი საჩივრით მიმართვა, თუ კენჭისყრის დღიდან 2 კალენდარულ დღეზე მეტია გასული. ცესკო საჩივარს განიხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმების გადაწყვეტილება ამავე სუბიექტმა მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გაასაჩივროს თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაბამისმა საარჩევნო სუბიექტმა გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
4. ცესკოს გადაწყვეტილება საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ძალაში შედის საქალაქო ან სააპელაციო სასამართლოში ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ამოწურვის ან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.
5. თუ საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება საარჩევნო ბიულეტენში ამ საარჩევნო სუბიექტის შეტანის ან კენჭისყრის დღის შემდეგ, არჩევნების შედეგები შეჯამდება ამ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების გაუთვალისწინებლად.“.

მუხლი 2.
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**